პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 141 (4651)

1972 წ. 20 ივლისი, ხუთშაბათი, ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

# მეოთხე პარტია

### ფიშერი — სპასკი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 მc6 6. კc4 e6 7. კb3 კe7 8. კe3 0—0 9. f4 a6 10. 0—0 მ:d4 11. კ:d4 b5 12. a3 კb7 13. ლd3 a5 14. e5 de 15. fe მd7 16. მ:b5 მc5 17. კ:c5 კ:c5+ 18. მფh1 ლg5 19. ლe2 ეad8 20. ეad1 ე:d1 21. ე:d1 h5 22. მd6 კa8 23. კc4 h4 24. h3 კe3 25. ლg4 ლ:e5 26. ლ:h4 g5 27. ლg4 კc5 28. მb5 მფg7 29. მd4 ეh8 30. მf3 კ:f3 31. ლ:f3 კd6 32. ლc3 ლ:c3 33. bc კe5 34. ეd7 მფf6 35. მფg1 კ:c3 36. კe2 კe5 37. მფf1 ეc8 38. კh5 ეc7 39. ე:c7 კ:c7 40. a4 მფe7 41. მფe2 f5 42. მფd3 კe5 43. c4 მფd6 44. კf7 კg3 45. c5+. ყაიმი.

გუშინწინ რეიკიავიკის გამოფენათა სასახლის მთავარ დარბაზში სპასკი — ფიშერის მატჩის მეოთხე პარტია მოეწყო.

ფიშერმა, როგორც ყოველთვის, პარტია მეფის პაიკით დაიწყო. სპასკიმ სიცილიური დაცვით უპასუხა. ამერიკელმა დიდოსტატმა გაითამაშა თავისი საყვარელი ვარიანტი, რომელსაც ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში ლენინგრადელი ოსტატი სოზინი იყენებდა. ფიშერმა გააღრმავა ამ ვარიანტის სტრატეგიული ჩანაფიქრი და ბევრი კარგი პარტია მოიგო. რა თქმა უნდა, სპასკი საგულდაგულოდ მოემზადა ამ შეხვედრისთვის. მე-13 სვლაზე მან სიახლე გამოიყენა და პაიკი შესწირა ინიციატივისთვის. ფიშერი იძულებული იყო გამოწვევა მიეღო. მსოფლიო ჩემპიონმა მძაფრი იერიში წამოიწყო მეფის ფრთაზე. ლაზიერს მხარი აუბეს ორივე კუმ და h პაიკმა.

25-ე სვლაზე კრიტიკული პოზიცია შეიქმნა. სპასკი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: გაეცვალა თუ არა ლაზიერი. მან დატოვება არჩია, ვინაიდან ენდშპილში გადასვლით უფრო პერსპექტიულ პოზიციას მიიღებდა.

შემდგომ ბრძოლაში ფიშერმა უკუაგდო მუქარა და თამაში თანაბარ ენდშპილში გადაიყვანა. მეტოქეთა ძალები თანდათან დაიცხრილა. სხვადასხვა ფერის კუთა არსებობამ პოზიცია მთლიანად გააწონასწორა. ამიტომ 45-ე სვლაზე სპასკის წინადადებით მეტოქენი დაზავდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 2,5:1,5 სპასკის სასარგებლოდ.

20 ივლისს შედგება მეხუთე პარტია. თეთრებით სპასკი ითამაშებს.

## ფოტოპანორამა



ამას წინათ სტოკჰოლმში ჩატარდა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, სადაც საბჭოთა შუბის მტყორცნელმა ი. ლუსისმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 93,80 მ.

ლუსისმა 110 სმ-ით გადააჭარბა ფინელი ი. კინუნენის მიერ 1969 წელს დამყარებულ რეკორდს.

პრესენს ბილდ — სპორტის ფოტო.



ცხენოსანთა საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც მოსკოვში ჩატარდა, ცსკა-ს წარმომადგენლებმა ი. კალიტამ და მ. კოპეიკინმა გუნდური ოქროს ჯილდოები მოიპოვეს გაწვრთნაში „დიდ ოლიმპიურ პრიზზე". II ადგილზე არიან შარშანდელ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი — ე. პეტუშკოვა და ა. ვტოროვი (ორივე — „ტროდა", რსფსრ).

სურათზე: ი. კალიტა გამოდის ტარიფით.

ა. კონკოვის ფოტო. (სატასი).

# რვა პრიზიორი!

კურსკი, 18 ივლისი. დღეს აქ დამთავრდა ჭაბუკთა საკავშირო საუწყებო პირველობა სამბოში. წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ნორჩმა ათლეტებმა, რომლებიც სხვადასხვა სპორტსაზოგადოების ღირსებას იცავდნენ. მათ დაისაკუთრეს 4 პირველი, 1 მეორე და 3 მესამე ადგილი.

ჩემპიონები გახდნენ: 68 კგ — დ. გოდანოვი (თბილისი, „ბურევესტნიკი"), 88 კგ — ნ. ელიბაშვილი (თბილისი, „სპარტაკი"), 93 კგ — თ. ხუბულური (გორი, „განთიადი"), მძიმე — რ. ჭიკაიძე („ბურევესტნიკი", თბილისი).

80 კგ წონით კატეგორიაში II ადგილზე გავიდა ო. ყურაშვილი (თბილისი, „დინამო").

III საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს: 62 კგ — ჭ. ჭანანაშვილმა (თბილისი, „ბურევესტნიკი"), 75 კგ — ნ. სიდამონიძემ (თბილისი, „სპარტაკი"), მძიმე — რ. მერკვილაძემ (თბილისი, „დინამო").

# სტარტი გამარჯვებით აილეს

გრაცში (ავსტრია) დაიწყო სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდური მსოფლიო პირველობა. ტურნირში მონაწილე სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში არიან დიდოსტატები ა. კარპოვი, ვ. ტუკმაკოვი, ი. ბალაშოვი, რ. ვაგანიანი, ოსტატები ბ. პოდგაეცი და ი. ანიკაევი (ორი უკანასკნელი სათადარიგო მოთამაშეა). გუნდის მწვრთნელია ოსტატი ა. ბიხოვსკი, დელეგაციის ხელმძღვანელი კი დიდოსტატი ი. ავერბახი.

— ბიჭები კარგად მოემზადნენ ამ, ცხრეთ წოდებული, ოლიმპიადისთვის. მსგავს შეჯიბრებაში ფიზიკურ მდგომარეობას და ფსიქოლოგიურ განწყობას საჭადრაკო მომზადებაზე ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს. ამიტომ შეკრებაზე ოლიმპიადის მომავალი მონაწილენი უფრო მეტს ცურავდნენ და ფეხბურთს თამაშობდნენ, ვიდრე ჭადრაკში მეცადინეობდნენ, — თქვეს ი. ავერბახმა და ა. ბიხოვსკიმ. — ოლიმპიადა ავსტრიაში უფრო ძნელი იქნება, ვიდრე შარშანდელი იყო პუერტო-რიკოში, სადაც გავიმარჯვეთ. აქ უფრო ძნელი ბრძოლა გველის, მაგრამ გუნდური გამარჯვებისა გვწამს.

I ტურში საბჭოთა სტუდენტები შვეიცარიელ კოლეგებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს — 3:1.





## მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

*ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ჯ. ენუქიძე კიევიდან გვატყობინებს*

# საქართველოს დღე უკრაინის დედაქალაქში

მოსწავლეთა წლევანდელი საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება, მართლაც საზეიმოდ ტარდება. დღე არ გავა, რომ სპარტაკიადის მონაწილეთათვის რაიმე საინტერესო ღონისძიება არ მოეწყოს.

გუშინ კიევის დნეპრის რაიონში ზეიმით აღინიშნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დღე. ჯერ კიდევ დილით, საზეიმო ხაზზე, საქართველოს მოსწავლე სპორტსმენთა დელეგაციას ესტუმრნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები. საქართველოსადმი მიძღვნილ საზეიმო ხაზზე მასპინძლებმა და სტუმრებმა ერთმანეთს უპატაკეს სწავლაში, შრომასა და სპორტში მოპოვებულ წარმატებათა შესახებ.

ზეიმი გაგრძელდა საღამოს, დნეპრის რაიონის ტყე-პარკში მდებარე ახალგაზრდობის სახლში, რომელსაც „როვესნიკი" ჰქვია. აქ შეიკრიბნენ უკრაინელი და ქართველი თანატოლები. საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელობას, ჩვენი რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მუშაკებს ამ ერთობლივი ღონისძიების ჩატარებისთვის საგულდაგულოდ უშრომიათ. დარბაზში გამოფენილი იყო ქართველ მოსწავლეთა ნახატები, სხვადასხვა შეჯიბრება ...ილი ვიმპელები, თასები, სპორტული თემატიკის ამსახველი ფოტოსტენდები და ალბომები. თავის მხრივ, მასპინძლებმა უკრაინელი ბავშვების ნამუშევართა გამოფენა მოაწყვეს.

დაიდგა საზეიმო წუთები: ჟღერს სსრ კავშირის, საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო ჰიმნები. საქართველოს რესპუბლიკის დღე გახსნა დნეპრის რაიონის კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ოზადოვსკიმ. მის ნიშანზე უკრაინელმა ახალგაზრდებმა და საქართველოს მოსწავლეთა წარმომადგენლებმა — კალათბურთელმა გოგონამ მ. გაბუნიამ, ფრენბურთელმა ჭაბუკებმა ვ. სოფრომაძემ და მ. კალანდაძემ გვირგვინებით შეამკეს ახალგაზრდობის სახლთან მდებარე ლენინისა და დიდ სამამულო ომში დაღუპულ გმირთა ძეგლები. მერე სტუმრებს მასპინძელთა სახელით მიესალმნენ და თავიანთ წარმატებებზე ესაუბრნენ დნეპრის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ვ. კარპინსკი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, გენერალ-მაიორი მ. მოსკალიოვი და სხვ.

შესანიშნავი იყო უკრაინელ პიონერთა გამოსვლა. პიონერებმა საქართველოს სპორტსმენებს მიუწოდეს გაიმეორონ ნონა გაფრინდაშვილის, მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, რობერტ შავლაყაძისა და სხვათა მიღწევები.

საქართველოს დელეგაციის სახელით გამოვიდა განათლების მინისტრის მოადგილე ი. ზერიზაშვილი, რომელმაც ილაპარაკა საბჭოთა ხალხების მეგობრობაზე, კერძოდ, უკრაინელი და ქართველი ხალხების ურღვევ ძმობაზე. სიტყვით გამოვიდა, აგრეთვე, კალათბურთელ გოგონათა ნაკრების წევრი მ. ადეიშვილი, დელეგაციების წარმომადგენლებმა გაცვალეს სამახსოვრო ვიმპელები, საჩუქრები...

დასასრულ მოეწყო დიდი კონცერტი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად მონაწილეობდა თბილისის კალინინის რაიონის 39-ე საშუალო სკოლის მხატვრული კოლექტივი. მასპინძლები განსაკუთრებით აღაფრთოვანა ნორჩ მოცეკვავეთა (ქორეოგრაფი თ. გოგოტიშვილი) გამოსვლამ. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: „სამაია" — ნინო ღლონტიანის, მარინე ძნელაძისა და მარინე იაკობაშვილის შესრულებით, პატარა დათო შანიძის მიერ შესრულებული სახუმარო ცეკვა, ბლიკო გოგოლაშვილის „კინტაური"...

* * *

ახლა კი შეჯიბრებების შესახებ. ამ დღეს ყველა სპორტსმენი როდი ისვენებდა. ხელბურთელი ჭაბუკები წინასწარი ტურნირის ბოლო მატჩში ფინალის საგზურისთვის იბრძოდნენ, მოჭადრაკენი გადადებული პარტიების დასამთავრებლად მიუსხდნენ დაფებს, ხმლით მოფარიკავეებმა კი პირადი პირველობა გაითამაშეს.

ჩვენი ხელბურთელი ჭაბუკების მდგომარეობა ერთობ პრობლემატური იყო: მათ ბოლო მატჩი უზბეკეთის წარმომადგენლებთან ფრედ მაინც უნდა დაემთავრებინათ, რათა ფინალში გასულიყვნენ. პირველი ტაიმი ჩვენებმა წააგეს (6:10) და მაშინ, როცა იმედი თითქოს გადაწურული იყო, შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. საბოლოოდ მათ ფრეს მიაღწიეს — 20:20. ამგვარად, ძნელ ბრძოლაში საქართველოს ხელბურთელმა ჭაბუკებმა ფინალის საგზური დაისაკუთრეს.

ამავე დღეს ჩვენს ქვეჯგუფში უკრაინის ნაკრებმა დაამარცხა ტაჯიკეთის გუნდი — 27:13.

ფინალურ ექვსეულში 2-2 ქულით შევიდნენ უკრაინა, ლიტვა და ბელორუსია, ხოლო უქულოდ — საქართველოს, მოსკოვისა და რსფსრ-ს კოლექტივები. გოგონათა გუნდების ფინალურ ექვსეულში არიან საქართველოს, უკრაინის, ლიტვის (2-2 ქულით), ლატვიის, რსფსრ-სა და ყაზახეთის გუნდები.

მოჭადრაკეებმა 4 ტური განვლეს. I ქვეჯგუფში გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა ლენინგრადის გუნდი — 5:3, უკრაინამ — აზერბაიჯანი — 5:3, ესტონეთმა — ტაჯიკეთი — 6,5:1,5.

ქვეჯგუფში ბოლო ტურის წინ მდგომარეობა ასეთია: საქართველო — 23 ქულა, უკრაინა, აზერბაიჯანი — 19,5-19,5, ლენინგრადი — 16, ესტონეთი — 13, ტაჯიკეთი — 5.

დამთავრდა ხმლით მოფარიკავეთა პირადი შეჯიბრება. ექვსეულში საქართველოს სპორტსმენთაგან ვერავინ მოხვდა. ჩემპიონობა მოიპოვა მოსკოველმა ვ. ერმოლაევმა. II ადგილზეა ვ. ტოდუროვი (უკრაინა). აღსანიშნავია, რომ ორივე პრიზიორმა ექვს-ექვსი გამარჯვება მოიპოვა და მათ შორის უძლიერესის ვინაობა დამატებითმა შეხვედრამ გამოავლინა. III ადგილზეა ა. სტაროსელსკი (უკრაინა).

19 ივლისი (ტელეფონით).





## გუშინ...

ბაქოში ერთმანეთს შეხვდნენ „ნეფთჩი" და თბილისის „დინამო". თბილისელებმა ძალიან ცუდად ითამაშეს, მეკარე გოგია და მცველები უხეშ შეცდომებს უშვებდნენ, რაც კარგად გამოიყენეს ბაქოელებმა და გაიმარჯვეს — 3:1. ბურთები გაიტანეს: კულიევმა (14), სტეკოლნიკოვმა (47), ყიფიანმა (72) და ბანიშევსკიმ (87).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

# სკოლა ვასილიევსკის კუნძულზე...

ვასილიევსკის კუნძულზე, საიდანაც ნევისპირა ქალაქი ზღვას გაჰყურებს, აგებენ უჩვეულო სკოლას 1170 მოზარდისთვის. სასწავლო აუდიტორიების, საქტო დარბაზის, სამკითხველო-ბიბლიოთეკების გარდა, სკოლას ექნება ორი სპორტული დარბაზი — უმცროსი და უფროსი კლასების მოსწავლეებისთვის, აგრეთვე, სპორტული თამაშების ოთახები. საერთოდ, ბავშვების ფიზიკურ განვითარებას აქ დიდი ყურადღება დაეთმობა.

ეს სკოლა ინტერესს იწვევს არამარტო დაგეგმვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული წვლილი მშენებლებს შეაქვთ. მათ გადაწყვიტეს სკოლა ააგონ არა თვრამეტ, როგორც ნორმატივებითაა გათვალისწინებული, არამედ ხუთ თვეში. სკოლას აშენებს „გლავლენინგრადსტროის" ლენინის ორდენოსანი № 16 ტრესტი, რომელმაც ლენინგრადში ააგო სპორტის სასახლე „იუბილეინი", საკონცერტო დარბაზი „ოქტიაბრსკი", მრავალსართულიანი სასტუმროები „სოვეტსკაია" და „ლენინგრადი". მშენებლობა სამ ცვლად მიმდინარეობს. უკვე აიგო ორი კორპუსი. სკოლა მწყობრში ჩადგება პირველ ზართან ერთად.

სამშენებლო მოედნის ხშირი სტუმარია ლენსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, „გლავლენინგრადსტროის" ყოფილი უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი, რსფსრ-ს დამსახურებული მშენებელი ა. სიზოვი. 1933 წელს მან „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის სამკერდე ნიშანი მიიღო, მაგრამ სპორტისთვის დღესაც არ დაუნებებია თავი.

— გვეკითხებიან: რატომ არის დაგეგმილი ერთ სკოლაში ორი სპორტული დარბაზი და სათამაშო ოთახები, რაც ასევე ფიზკულტურისთვისაა გათვალისწინებული? — ამბობს ა. სიზოვი. — მოკლედ გიპასუხებთ. ყველაზე მნიშვნელოვან ჩვევებს ადამიანი ბავშვობაში იძენს. ასეა სპორტშიც. ჩვენ მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ბავშვთა სპორტს. ამ სკოლაში ყოველი მოსწავლე ფიზკულტურით იქნება დაკავებული, ხოლო ათწლედის დამთავრების შემდეგ ყველა ჭაბუკი და ქალიშვილი მიიღებს არა მარტო „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნიშანს, არამედ ბევრი მათგანი პირველთანრიგოსანი, ოსტატობის კანდიდატი და სპორტის ოსტატიც გახდება. რაც მთავარია, ბავშვები ძლიერები, მარდები, სწრაფები და გამოწრთობილნი გაიზრდებიან. აი, რატომ მიმაჩნია „ჯანმრთელობის საამქრო" თანამედროვე სკოლის ერთ-ერთ ძირითად ობიექტად. არ შეიძლება ჩვენს დროში სკოლის აშენება სპორტული კომპლექსის გარეშე. ამას ცხოვრება მოითხოვს, ახალი კომპლექსი გვიკარნახებს.

ზ. ირტიშსკი.

ლენინგრადი.

# მაკეევკელი მეტალურგების „ზარევო"

მარტენების მწკრივს ხსნის № 1 ღუმელი, რომელიც კომკავშირული ნიშნითაა შემკობილი. მისი კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა კიროვის სახელობის მაკეევკის მეტალურგიულ ქარხანაში და ზედიზედ შვიდი წელია არ თმობს მსოფლიო რეკორდს აგრეგატის ნაყოფიერ მუშაობაში.

ნადნობი მზადაა გამოშვებისთვის. ბრიგადირის — ლენინის ორდენისა და კომკავშირის საპატიო ნიშნის კავალერის ვ. ნიკიტენკოს ბრძანებით დამხმარე მეფოლადეები ყველა ოპერაციას სწრაფად აკეთებენ. ფოლადმა ცეცხლი აავსო და მზესავით გაანათა საამქრო. მერე ვახტი მორიგ ცვლას ჩაბარდა. დამხმარე ვ. ბუკი საამქროდან მიიჩქარის, რომ წყალი გადაივლოს და ტანსაცმელი გამოიცვალოს.

— საით მიიჩქარი?

— „ზარევოში", დღეს მშდ კომპლექსის ნორმატივებს ვაბარებ.

— მერე, როგორც დაგვპირდი, უნდა დაგვეხმარო, — უთხრა ნიკიტენკომ.

ვ. ბუკი ქარხნის სპორტკლუბ „ზარევოს" ხუთასი აქტივისტიდან ერთ-ერთი საზოგადოებრივი ინსტრუქტორია. ქარხანაში მას იცნობენ, როგორც ვამოცდილ კალათბურთელს, რომელიც ქალაქის ნაკრებში თამაშობს. ახლა მან ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა ნორმატივები სიმაღლეზე ხტომაში, ცურვასა და ტყვიის სროლაში. ასეთივე შედეგები აქვთ მგლინავ ნ. სიმაგინს, ზეინკლებს ს. ოსტროვსკის, ვ. პოლუიანს, რომლებმაც ბუკთან ერთად ჩააბარეს ნორმატივები.

საზოგადოებრივი ინსტრუქტორები ახალგაზრდა სპორტკლუბის მთავარ საყრდენს შეადგენენ. ისევე როგორც ყოველი კოლექტივი, კლუბი ამაყობს თავისი „ვარსკვლავებით" — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატით ნ. ტკაჩენკოთი, რომელმაც წლევანდელ საერთაშორისო შეჯიბრებაში ძმები ზნამენსკების სახელობის მანეჟში მსოფლიო რეკორდი გაიმეორა 100 მეტრზე თარჯრბენში; სპორტის ოსტატებით, უკრაინის პირველობის პრიზიორებით, მძლეოსნებით — ზეინკალ ვ კოჟუშკოთი, მწვრთნელ ნ. კირეევითა და სხვა ძლიერი სპორტსმენებით.

მაგრამ დონბასის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „ზარევოს" ნამდვილი დიდება მასობრიობამ მოუტანა. საწარმოს მეტალურგების მთელი მრავალათასიანი რაზმეულიდან თითქმის ნახევარი ფიზკულტურელია. ასეთი მასობრიობის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, ფიზკულტურული მოძრაობის ორგანიზაციაში საზოგადოებრივი საწყისები რომ არ ყოფილიყო. „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის დანერგვის შესახებ მიღებულ დადგენილებაში, რომელიც ქარხნის ხელმძღვანელების მიერაა ხელმოწერილი, შემთხვევით როდია გათვალისწინებული ყოველთვიურად ენთუზიასტი ინსტრუქტორების სემინარების ჩატარება.

პირველ ასეთ სემინარში მონაწილეობდნენ ახალბედები — ურნალის საამქროს საწნეხი განყოფილების უფროსი ვ. კარასიოვი და სარემონტო საამქროს ელექტროზეინკალი ი. მოსკინი. ისინი დიდი ხანია აღარ დადიან სექციებში, სადაც ახალგაზრდობაში მეცადინეობდნენ, მაგრამ ახლა კვლავ დაიწყეს ვარჯიში. სპორტული ფორმის აღდგენისა და სემინარზე თავიანთი ცოდნის გაღრმავების შემდეგ კარასიოვი და მოსკინი, ამჟამად უკვე საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, თვითონ ეხმარებიან ამხანაგებს „ფიზკულტურაში გამოცდისთვის".

ახლახან ქარხანაში დაიწყო სპარტაკიადა, რომელმაც სტარტი საამქროებსა და განყოფილებებში აიღო. სექტემბერში საუკეთესო გუნდების ფინიშია. ეს დათვალიერება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივების მასობრივი ჩაბარებისთვის მზადების მნიშვნელოვანი ეტაპია.

— ჩვენ გადავწყვიტეთ მეცადინეობები ჩავატაროთ მეტალურგების დასვენების ადგილებშიც, — ამბობს სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე ვ. სიმონენკო. — ქარხნის ასეთი ბაზა 250 კაცისთვის ახლახან გაიხსნა სლავიანოგორსკში, სევერნი დონეცის ნაპირზე იქ ვარჯიშების ჩასატარებლად გავგზავნით მწვრთნელსა და მეთოდისტს, შემდეგ კი მოვაწყობთ ახალი კომპლექსის „ჩათვლებს" მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ცურვასა და ტურიზმში.

„ზარევო" უკვე ვიწროდაა თავის სპორტულ ბაზებზე. უკვე ძნელია სპორტულ დარბაზსა და დახურულ საცურაო აუზში მეცადინეობის გრაფიკების შედგენა. ზაფხულობით ვარჯიში შეიძლება სტადიონზე, საერთო საცხოვრებლების სათამაშო მოედნებზე. ახლა დაიწყეს მზადება ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობისთვის საწარმოს ფონდების ხარჯზე.

„ნიშნოსანი ყველა უნდა გახდეს!" ასეთი დევიზით უწევს პროპაგანდას „ზარევო" ფიზიკურ აღზრდას საკუთარი აქტივისტების — სპორტული საქმეების დამკვრელთა ძალებით.

ა. ლეიკინი.

მაკეევკა.

## სპორტი მოგვითხრობს

პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

# მძიმე ბრძოლა ელით

50

ცურვაში ოთხივე ჯგუფის კოლექტივების 74 სპორტსმენი ჩაება. მათი დიდი უმეტესობა მაღალთანრიგოსანი გახლდათ—სპორტის ოსტატები, სპორტის ოსტატობის კანდიდატები... პროგრამით გათვალისწინებულ 24 სახეობაში პრიზიორებმა 4 სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და 19 პირველი თანრიგის ნორმატივის შესაბამისი შედეგი მოიპოვეს.

რესპუბლიკის პროფკავშირთა ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტკლუბების სპარტაკიადის სხვა სახეობებში მოპოვებულ მაჩვენებელთა ფონზე მოცურავეებს თითქოს საყვედური არ ეთქმით, მაგრამ, საკავშირო სპარტაკიადის დონეს თუ გავითვალისწინებთ, საქმე სხვაგვარად წარმოგვიდგება: „გამარჯვების" (242 ქულა), „უშბის" (231), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა (191) და „მშენებლის" (163) კოლექტივებს, რომლებმაც რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ჯგუფებში გაიმარჯვეს, იქ მეტად მძიმე ბრძოლა ელით. პირდაპირ ვიტყვით, გუნდურ ჩათვლაში მათ წარმატების ნაკლები იმედი უნდა ჰქონდეთ.

პირველი ჯგუფის გუნდების შეჯიბრებაში თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის სპორტკლუბმა „გამარჯვებამ", მართალია, წარმატებას მიაღწია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ კოლექტივში ცურვას სათანადო ყურადღება ეთმობა. გამარჯვება განაპირობა მხოლოდ რამდენიმე სპორტსმენის თავდადებამ და იმანაც, რომ გუნდებს ჩათვლას აძლევდნენ მოცურავეები, რომლებიც II თანრიგის ნორმატივს შეასრულებდნენ.

პირად ტურნირში ყველაზე მეტ წარმატებას მაინც ლ. იმნაძემ („გამარჯვება") და ვ. სნიმშჩიკოვმა (სპი) მიაღწიეს. მათ 3-3 პირველი ადგილი დაისაკუთრეს, თანაც პირველი თანრიგის ნორმატივზე დაბალი შედეგი არც ერთ დისტანციაზე არ უჩვენებიათ.

ო. ბელაშვილი.

• • •

გთავაზობთ გამარჯვებულთა ტექნიკურ შედეგებს:

**ქალები. თავისუფალი სტილი. 100 მ.** ნ. კოსტიუჩენკო („გამარჯვება") — 1.11,0, **200 და 400 მ.** ნ. გეოკჩოღლიანი („ელმავალი") — 2.38,4 და 5.25,4, **800 მ.** ლ. იმნაძე („გამარჯვება") — 11.05,0. **ბრასი. 100 და 200 მ.** მ. გამზინა („გამარჯვება") — 1.29,2 და 3.02,6. **ბატერფლაი. 100 და 200 მ.** ვ. პროსკურინა („გამარჯვება") — 1.15,7 და 2.43,2. **გულაღმა. 100 მ.** ტ. შელესტი („უშბა") — 1.24,5, **200 მ.** იმნაძე — 2.46,8. **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** ვ. პროსკურინა („გამარჯვება")—2.57,8, **400 მ.** იმნაძე — 6.04,0.

**ვაჟები. თავისუფალი სტილი. 100 მ.** ვ. სნიმშჩიკოვი — 1.00,7, **200 და 400 მ.** ვ. თხორი (ორივე — სპი)—2.12,5 და 4.48,7, **1500 მ.** ვ. დოლიძე („ელმავალი") — 19 წუთი. **ბრასი. 100 და 200 მ.** ა. ფეოქტისტოვი — 1.16,8 და 2.51,2. **ბატერფლაი. 100 მ.** ვ. გოგოლევი (ორივე — „უშბა")—1.07,0, **200 მ.** ნ. დავიდოვი („ელმავალი") — 2.58,5. **გულაღმა. 100 და 200 მ.** სნიმშჩიკოვი — 1.08.5 და 2.30,2. **კომპლექსური ცურვა. 200 და 400 მ.** ლ. გრიგორი („გამარჯვება") — 2.36,9 და 5.22,0.

# მიჰქრიან მიკრომანქანები...

დოსააფის რესპუბლიკურმა კომიტეტმა თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კორდოდრომზე ჩაატარა საქართველოს ავტომოდელისტთა პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქუთაისის, ბათუმისა და თბილისის ავტო-მოტოკლუბებისა და მოზარდთა ტექნიკური სახლის გუნდები. ჭიათურელებმა განაცხადი წარმოადგინეს, მაგრამ სასპარეზოდ აღარ ჩამოვიდნენ.

ყოველი გუნდის სახელით სხვადასხვა კლასისა და ძრავიანი მანქანების მოდელებით 8 სპორტსმენი გამოდიოდა. თავდაპირველად სარბოლო და მანქანათა ასლების ტურნირი მოეწყო, მეორე დღეს კი რალი, რომლის მონაწილეთ თავიანთი მანქანების მაკეტები ტექნიკური კომისიისთვის უნდა წარედგინათ და შეფასების შემდეგ ჩაბმულიყვნენ შეჯიბრებაში.

სანამ ჩემპიონატის ტექნიკურ შედეგებს გაგაცნობდეთ, გაცნობებთ, რომ ამას წინათ ლენინგრადში გაიმართა ავტომოდელისტთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც საქართველოს გუნდმა II ადგილი დაიკავა (მასპინძელთა შემდეგ). III ადგილზე აზერბაიჯანის წარმომადგენლები გავიდნენ.

10 კბ სმ მოცულობისძრავიანი სარბოლო მანქანების მოდელებით შეჯიბრებას გამარჯვებული არ დაუსახელებია, ვინაიდან ძრავა საკონტროლო დროში ვერც ერთმა ვერ ჩართო.

1,5 კბ სმ კლასის სარბოლო მოდელებით შეჯიბრებაში ჩემპიონი გახდა თბილისელი სპორტის ოსტატი ზ. ზურაბიშვილი. ბათუმელი მოდელისტის, სპორტის ოსტატ ს. ჩილინჯიანის ნამუშევარს II ადგილი ხვდა.

„2,5-ანებით" შეჯიბრებაც ზურაბიშვილმა მოიგო. II ადგილზე აგჯერად თბილისელი პირველთანრიგოსანი ნ. ირემაშვილი გავიდა, III — ბათუმელი ი. პოპოვი.

5 კბ სმ კლასის სარბოლო მანქანებით ტურნირში მხოლოდ ჩემპიონი გამოვლინდა. ეს წოდება ბათუმელმა პირველთანრიგოსანმა თ. მარდალეიშვილმა მოიპოვა.

მანქანათა ასლებით ტურნირებში, როგორც 1,5, ისე 2,5 კბ სმ მოცულობისძრავიანებით ჩემპიონები გახდნენ ბათუმელი პირველთანრიგოსნები ლ. პოღოსიანი და ვ. ემუშინცევი.

რალი მოიგო თბილისელი პირველთანრიგოსნის ზ. ბედიას დამზადებულმა მოდელმა.

ო. კიკნაველიძე,
შეჯიბრების უფროსი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.



მთაში. ვ. გაბელაშვილის ფოტო.

# ბჯენით

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ერთი წონის, მაგრამ სხვადასხვა კვალიფიკაციის ტანმოვარჯიშეები ერთი და იმავე ხტომებისას ბოგზე დახტომის დროს სხვადასხვა ოდენობის ძალას ავითარებენ. კარგი მხტომელები უმეტეს შემთხვევაში ავლენენ შედარებით მეტს, უფრო იშვიათად კი თანაბარ ან ნაკლებ ძალას. მაგრამ ბოგზე დაყოვნების დრო (არეკნის ხანგრძლივობა) მუდამ გაცილებით ნაკლებია, ხტომის შედეგი კი უკეთესი. მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე ისმის კითხვა: რამ განაპირობა ბოგზე დახტომის დროს (განვითარებულ ძალათა ზემოაღნიშნული შეფარდებით) კარგ მხტომელთა ხტომის უკეთესი შედეგი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავიხსენოთ ძალის განმსაზღვრელი, ცნობილი დინამიკის მეორე კანონი, რომლის მიხედვითაც აჩქარება პირდაპირ პროპორციულია ძალისა და უკუპროპორციული მასისა.

ამრიგად, იმასთან დაკავშირებით, რომ ტანმოვარჯიშეებს ერთი და იგივე წონა (მასა) აქვთ, განვითარებული ძალის ოდენობას განსაზღვრავს ცალი ფეხით წინასწარი არეკნის შემდეგ ტანმოვარჯიშის ბოგზე შესვლის აჩქარება, ფეხებით ბოგთან შემხვედრი მოძრაობის ძალა და სისწრაფე, ასევე, მკლავების აჩქარებით აქნევის დროს ბოგზე ძალის მიყენების მომენტის ნამატი. კინოგრამების ანალიზი და პედაგოგიური დაკვირვება გვარწმუნებს, რომ კარგ მხტომელებს მკლავების აქნევის სისწრაფე შედარებით მეტი აქვთ.

იმ შემთხვევაში, როცა მხტომელებს ნაკლები კვალიფიკაციის სპორტსმენებთან შედარებით ბოგზე დახტომის დროს არეკნის პირველ ფაზაში პირველად განვითარებული ძალა თანაბარი ან ნაკლები აქვთ, ხტომის შედეგი კი გაცილებით უკეთესი, მიზეზი უნდა ვეძიოთ არეკნის მეორე — ამორტიზაციისა და მესამე — ბოგიდან ასხლეტის ფაზებში.

ნიუტონის მესამე კანონის თანახმად (ყოველი ქმედება იწვევს ტოლსა და საწინააღმდეგო უკუქმედებას), ორივე მომზადების ტანმოვარჯიშეებს პირველად განვითარებული ძალის თანაბრობის შემთხვევაში უნდა გაევლოთ გზა თანაბარი სიმაღლისა და სიგრძის ტრაექტორიით. მაგრამ ვღებულობთ პირუკუ შედეგს მაშინაც კი, როცა კარგ მხტომელებს პირველად განვითარებული ძალა ნაკლები აქვთ.

სანამ უშუალო მიზეზების განმარტებას შევუდგებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვწეროთ, არეკნის მთელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სეზონი-72

## სსრ კავშირის პირველობა

### 0:0

18 ივლისს მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი მატჩი: „ლოკომოტივი" — „დნეპრი".

ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

### უმაღლესი ლიგა

### I ლიგა

18 ივლისს გაიმართა პირველი წრის ბოლო შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელებს გასვლითი მატჩი ჰქონდათ დონეცკის „შახტიორ-თან". ტორპედოელებმა სუსტად ითამაშეს და დამარცხდნენ — 0:3.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო" (ლენინგრადი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 0:0, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 1:1, „შინიკი" (იაროსლავლი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:0, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „კრივბასი" (კრივოი როგი) 2:0, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 0:1, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 3:1, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ალგა" (ფრუნზე) 1:0, „ზვეზდა" (პერმი) — „პამირი" (დუშანბე) 4:2, „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:1.

#### გათამაშების ცხრილი

პირველი წრის შედეგები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქორი" | 19 | 13 | 4 | 2 | 30—14 | 30 |
| „ჩერნომორ." | 19 | 11 | 6 | 2 | 37—15 | 28 |
| „ზვეზდა" | 19 | 10 | 5 | 4 | 25—17 | 25 |
| „ტორპედო" | 19 | 11 | 2 | 6 | 28—14 | 24 |
| „შახტ." (დ.) | 19 | 7 | 9 | 3 | 25—12 | 23 |
| „პამირი" | 19 | 9 | 5 | 5 | 27—24 | 23 |
| „შინიკი" | 19 | 9 | 4 | 6 | 18—15 | 22 |
| „სპარტაკი" | 19 | 7 | 6 | 6 | 23—22 | 20 |
| „შახტ." (ყ.) | 19 | 6 | 8 | 5 | 18—15 | 20 |
| „ალგა" | 19 | 6 | 7 | 6 | 18—15 | 19 |
| „მეტალის." | 19 | 6 | 7 | 6 | 20—19 | 19 |
| „კრ. სოვეტ." | 19 | 4 | 11 | 4 | 17—20 | 19 |
| „ავტომობ." | 19 | 4 | 8 | 7 | 15—20 | 16 |
| „სტროიტ." | 19 | 6 | 4 | 9 | 20—34 | 16 |
| „მეტალურ." | 19 | 5 | 4 | 10 | 25—26 | 14 |
| „დინამო" | 19 | 3 | 8 | 8 | 12—22 | 14 |
| „ნისტრუ" | 19 | 4 | 5 | 10 | 13—26 | 13 |
| „ტექსტილ." | 19 | 4 | 5 | 10 | 16—31 | 13 |
| „კრივბასი" | 19 | 3 | 6 | 10 | 24—38 | 12 |
| „ურალმაში" | 19 | 2 | 6 | 11 | 17—29 | 10 |

### II ლიგა III ზონა

## ქორიძის ორი ბურთი

ბათუმის „დინამოსა" და რუსთავის „მეტალურგის" შეხვედრები მუდამ შეუპოვარი და დაძაბული იყო, ახლა კი ამ ორი გუნდის ტრადიციული სპორტული მეტოქეობა დაირღვა,ვინაიდან მეტალურგებმა წლეულს საგრძნობლად დათმეს პოზიციები და სატურნირო ცხრილის ბოლოში არიან.

ბათუმელებმა 18 ივლისს შინ მიიღეს რუსთავის „მეტალურგი". მასპინძლებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა, რამდენიმე სწრაფი იერიში განახორციელეს და ერთ-ერთის დროს, მე-7 წუთზე; რუსთაველთა მცველმა ჩიტაურმა ხელით ითამაშა საკუთარ საჯარიმო მოედანზე, რისთვისაც მსაჯმა პენალტი დანიშნა. ქიქავამ ზუსტად გამოიყენა იგი — 1:0.

ამის შემდეგ დინამოელებს რამდენიმეჯერ მიეცათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, 23-ე წუთზე ჩხარტიშვილმა ძელსაც მოახვედრა ბურთი.

ტაიმის დასასრულამდე სტუმრებმა კარგად გაითამაშეს კონტრშეტევა, ბაჩიაშვილმა ისარგებლა მოპირდაპირე მცველის შეცდომით და ანგარიში გაათანაბრა.

შესვენების შემდეგ დინამოელები სრული უპირატესობით თამაშობდნენ და სისტემატურად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მეტოქის კართან. რამდენიმე არაზუსტად დამთავრებული კომბინაციის შემდეგ ბათუმელებმა მაინც მიაღწიეს სასურველ შედეგს და ორჯერ აიღეს მეტოქის კარი, ამასთან, ორივე ბურთი ქორიძემ გაიტანა. მან ჯერ კარგად შეურჩია ადგილი ქიქავას გადაცემას, ხოლო შემდეგ ზუსტად გამოიყენა კვიტაიშვილის მიერ მოწოდებული კუთხური.

ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა ბათუმის „დინამომ".

ო. მურვანიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ბათუმი.

### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „დინამო" (სოხუმი) 6:1, „ტრუდი" (ვორონეჟი) — „დრუჟბა" (მაიკოპი) 2:0, „შრომითი რეზერვები" (კურსკი) — „კოლხეთი" (ფოთი) 2:0, „სალუტი" (ბელგოროდი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:0, „სპარტაკი" (ორიოლი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 1:2, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „ზვეზდა" (ტირასპოლი) 2:1.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 18 | 10 | 5 | 3 | 29—9 | 25 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 16 | 8 | 6 | 2 | 27—12 | 22 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 17 | 8 | 6 | 3 | 25—15 | 22 |
| „დინამო" (ბათუმი) | 17 | 8 | 5 | 4 | 31—21 | 21 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 17 | 7 | 7 | 3 | 20—10 | 21 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 17 | 10 | 1 | 6 | 23—20 | 21 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდოლ.) | 16 | 8 | 3 | 5 | 16—15 | 19 |
| „დილა" (გორი) | 17 | 6 | 6 | 5 | 19—15 | 18 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 16 | 7 | 4 | 5 | 22—20 | 18 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 17 | 7 | 3 | 7 | 14—14 | 17 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 17 | 6 | 5 | 6 | 21—22 | 17 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 17 | 5 | 7 | 5 | 13—17 | 17 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 17 | 6 | 3 | 8 | 20—25 | 15 |
| „დინამო" (სოხუმი) | 17 | 4 | 7 | 6 | 20—27 | 15 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 17 | 4 | 6 | 7 | 16—22 | 14 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 16 | 3 | 5 | 8 | 13—21 | 11 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 17 | 3 | 5 | 9 | 9—22 | 11 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 17 | 1 | 7 | 9 | 12—21 | 9 |
| „შრომითი რეზერვები" (კურსკი) | 17 | 2 | 3 | 12 | 11—33 | 7 |

### რუსთავი

ფეხბურთელთა საქალაქო თასის გათამაშებაში 22 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში გავიდნენ № 2 ხე-ტყის დამმუშავებელი კომბინატისა და ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის გუნდები. საპატიო პრიზს ინჟინრები დაეუფლნენ.

რ. გაბრიჩიძე.

### სიღნაღი

ორ ზონად ასპარეზობდნენ მოსწავლე ფეხბურთელთა გუნდები რაიონის პირველობაზე. სიღნაღის ზონაში გაიმარჯვეს მაღაროელებმა, ხოლო ტიბაანის ზონაში წნორის მე-2 სკოლის გუნდი დაწინაურდა. მათს ფინალურ მატჩში წნორელებმა იმარჯვეს — 6:2.

ო. ხელაშვილი.

## საქართველოს ჩემპიონატი

### დისკვალიფიცირებულია ერთი წლით

გაიმართა I ჯგუფის გუნდების მორიგი შეხვედრები.

● „კოლხეთი" (ხობი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 0:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

მატჩი ჩატარდა საინტერესოდ, მაღალ ტემპში, კორექტულად. პირველ ნახევარში იგრძნობოდა სამტრედიელთა უპირატესობა, შესვენების შემდეგ კი მასპინძლებმა უკეთ ითამაშეს. და მაინც, ანგარიში არ გახსნილა.

● „განთიადი" (ბორჯომი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 4:2. მსაჯი მ. მიმინოშვილი (თბილისი).

მატჩის დასაწყისში „სალხინო" 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით დაწინაურდა (ოდიშარია). 28-ე წუთზე ბორჯომელმა ნოზაძემ ანგარიში გაქვითა, მაგრამ ტაიმის დასასრულს სტუმრები კვლავ დაწინაურდნენ (ჩხეტია). შესვენების შემდეგ ბორჯომელებმა ძლიერად ითამაშეს და ნათენაძემ, ფირცხალავამ და გუგუბერიძემ შეძლეს 3 ბურთის გატანა. შეცდომებით თამაშობდა „სალხინოს" მეკარე ციცხვაია.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 2:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

ანგარიში მე-16 წუთზე გახსნა ქობულეთელმა ჭანტურიამ, ხოლო შესვენების შემდეგ მჟავანაძემ მეორედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში. გარდაბნელებმა აქტიურად ითამაშეს მატჩის დასასრულს, მაგრამ ამაოდ.

● ასკ (თბილისი) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:1. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

არმიელი ჩომახიძის გოლი მეორე ტაიმში გაქვითა კემულარიამ.

● „ქართლი" (გორის რაიონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:1. მსაჯი ლ. ვერულიძე (ბათუმი).

თამაში თავიდანვე გორელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. 30-ე წუთზე მათ ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი დარტყმა (რევაზიშვილი), მაგრამ ტაიმის დასასრულს გელდიაშვილმა მაინც დააწინაურა თავისი გუნდი. მერე ბაქრაძისა და რევაზიშვილის ზუსტი დარტყმების შემდეგ სტუდენტთა კარში კიდევ 2 ბურთი აღმოჩნდა, რასაც მოჰყვა სანიძეს ერთი საპასუხო გოლი. მატჩის დასასრულს გუჩაშვილმა კიდევ ერთხელ შეძლო თბილისელთა კარის აღება.

დისციპლინის დარღვევისთვის გაფრთხილებული არიან თბილისელი ნ. შელია და გორელი გ. ჩოჩიშვილი. აღსანიშნავია, რომ ეს გ. ჩოჩიშვილის მეოთხე გაფრთხილებაა წლეულს. გამოუსწორებელმა ხულიგანმა ღირსეული სასჯელიც მიიღო: იგი დისკვალიფიცირებულია ერთი წლით.

● „ისანი" (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:0. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

ისნელებმა საუცხოოდ ითამაშეს შესვენების შემდეგ და ორივე ბურთიც მაშინ გაიტანეს (სუხაშვილი, ბახტაძე).

● „სამცხე" (აწყური) — „ეგრისი" (ცხაკაია) 8:1. მსაჯი ტ. ტურაშვილი (გორი).

ეს მატჩი ძალზე სუსტად ჩაატარა „ეგრისის" მეკარე გაბუნიამ, მაგრამ არც მისი პარტნიორები იდგნენ სათანადო სიმაღლეზე. მასპინძლებმა კარგად გამოიყენეს მეტოქის შეცდომები და ასეთი უჩვეულო ანგარიშით გაიმარჯვეს.

● „სულორი" (ვანი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 2:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

პირველ წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს, მაგრამ ვანელებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და 2 ქულის აღება.

● „იველია" (ხაშური) — „გიგანტი" (ლაითური) 1:0. მსაჯი ჟ. ჩიბჩიური (თბილისი).

უხეში თამაშისთვის გაფრთხილება მიეცა ლაითურელ დ. თავბერიძეს.

● „შუქურა" (ქობულეთი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 5:3. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

#### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 20 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (ზუგდიდი) | 23 | 14 | 7 | 2 | 40—11 | 35 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 23 | 14 | 7 | 2 | 38—23 | 35 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 22 | 13 | 6 | 3 | 41—17 | 32 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 24 | 12 | 6 | 6 | 35—31 | 30 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 22 | 11 | 6 | 5 | 40—24 | 28 |
| „სულორი" (ვანი) | 22 | 10 | 6 | 6 | 22—15 | 26 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 23 | 8 | 7 | 8 | 38—28 | 23 |
| „სამცხე" (აწყური) | 23 | 9 | 5 | 9 | 40—37 | 23 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 22 | 9 | 5 | 8 | 21—23 | 23 |
| „კახეთი" (თელავი) | 21 | 9 | 4 | 8 | 26—24 | 22 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 23 | 9 | 4 | 10 | 26—35 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 23 | 7 | 7 | 9 | 30—33 | 21 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 23 | 9 | 3 | 11 | 25—36 | 21 |
| „ივერია" (ხაშური) | 23 | 8 | 4 | 11 | 20—36 | 20 |
| „ისანი" (თბილისი) | 21 | 6 | 6 | 9 | 23—26 | 18 |
| ასკ (თბილისი) | 18 | 6 | 5 | 7 | 23—20 | 17 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 23 | 8 | 1 | 14 | 39—42 | 17 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 23 | 5 | 7 | 11 | 14—26 | 17 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 21 | 5 | 4 | 12 | 15—27 | 14 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 22 | 2 | 8 | 12 | 25—38 | 12 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 21 | 3 | 4 | 14 | 9—38 | 10 |

# ხტომის სრულყოფისთვის

პროცესში რა ურთიერთმოქმედებაა ტანმოვარჯიშის მიერ ბოგზე მიყენებულ ძალასა და მის შედეგად დეფორმირებული ბოგის საპასუხო ბჯენით რეაქციებს შორის.

ბოგზე ტანმოვარჯიშის დახტომის შედეგად პირველად განვითარებული ძალის საფუძველზე ბოგის სამუშაო ზედაპირი დეფორმაციას განიცდის, დეფორმირებული ბოგი კი საპასუხო რეაქციას იძლევა. ამ დროს ტანმოვარჯიშე ამორტიზაციას იწყებს. ესე იგი, თუ დახტომის შედეგად ტანმოვარჯიშემ განავითარა, ვთქვათ, 1000 კგ ძალა, ბოგმა განიცადა შესაბამისი დეფორმაცია და იმავე ძალით იძლევა პასუხს. იმ დროიდან, როცა ტანმოვარჯიშე ამორტიზაციას იწყებს, ამორტიზაციის ოდენობისა და ხანგრძლივობის შესაბამისად „იკარგება" პირველად განვითარებული ძალის გარკვეული ნაწილი.

„კარგვა" წყდება ამორტიზაციის დამთავრებასთან ერთად. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ტანმოვარჯიშე ბოგიდან მოცილებას (არეკნს) ასრულებს იმ ძალით, რომელსაც ამორტიზაციის დამთავრების შემდეგ ბოგის ნარჩენი დეფორმაცია განაპირობებს. ეს ნიშნავს, რომ ტანმოვარჯიშე ბოგიდან ახტომს ასრულებს იმ ძალით, რომელიც მიიღება პირველად განვითარებული ძალისა და ამორტიზაციით „დაკარგული" ძალის სხვაობით. ამრიგად, რაც მეტია პირველად განვითარებული ძალა და ამორტიზაციის ფაზის სრულყოფილი შესრულება, მით უფრო მეტია „ამგდები" ძალის ოდენობა და პირიქით.

კვლევით დადგენილია, რომ მაღალკვალიფიციური ტანმოვარჯიშეები ბოგს ეხებიან ფეხის ცერებით აქცენტირებული მოძრაობით, დაბალი კვალიფიკაციის ტანმოვარჯიშეთა უმრავლესობა კი მთელი ტერფით, ზოგიერთი ქუსლებითაც კი.

არეკნის პროცესში ბოგზე დაყოვნების დრო მაღალკვალიფიციურ ტანმოვარჯიშეებს შორის მერყეობს 0,075-0,12 წამის პერიოდში, დაბალი კვალიფიკაციის ტანმოვარჯიშეებში კი იგი გახანგრძლივებულია და 0,13-0,18 წამის ტოლია.

მაღალკვალიფიციურ ტანმოვარჯიშეებს არეკნის სამივე ფაზის განვითარების პერიოდი გაცილებით ნაკლები აქვთ. განსაკუთრებით ეს ამორტიზაციის პერიოდზე ითქმის.

მაღალკვალიფიციური ტანმოვარჯიშეების ამორტიზაციის პერიოდი 0,035-0,5 წამის ფარგლებში მერყეობს, დაბალი კვალიფიკაციის ტანმოვარჯიშეებს კი შესაბამისი პერიოდის რიცხობრივი მაჩვენებლები 0,01-0,02 წამით მეტი აქვთ. ბოგზე დაყოვნების ზემოაღნიშნული პერიოდის რიცხობრივი მაჩვენებლების შესაბამისად, მაღალკვალიფიციურ ტანმოვარჯიშეთა უმეტესობის „დაკარგული" ძალა 350-500, დაბალი კვალიფიკაციის ტანმოვარჯიშეებისა კი 600-700 კილოგრამით განისაზღვრება.

ამრიგად, მაღალკვალიფიციურ ტანმოვარჯიშეთა მიერ ამორტიზაციის ფაზის ხარისხიანად შესრულება ხტომის უკეთეს შედეგს განაპირობებს.

კვლევით დადგენილია, რომ ბოგიდან არეკნის პროცესში, რაც უფრო ნაკლებ დროში ვითარდება პირველად განვითარებული და მისი დაქვეითების (ამორტიზაციის) ძალა, ბოგზე დაყოვნების საერთო დრო შედარებით ნაკლებია, ამგდები ძალა — მეტი და შესაბამისად ხტომის შედეგიც — უკეთესი.

ს. თედეევი,

სპორტულ ტანვარჯიშში უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის დირექტორის მოადგილე, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი.

(დასასრული იქნება)

# ყველაზე მძიმე თასისთვის

18 ივლისს საბჭოთა კავშირის ასი საუკეთესო მფრინავი რამდენიმე საათით მგზავრად იქცა. ისინი გაფრინდნენ მარსელის მახლობლად, „სალონ დე პროვანსის“ აეროდრომზე, სადაც დღეს სტარტს აიღებს VII მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში. შეჯიბრება 31 ივლისს დამთავრდება.

საფრანგეთში გამოვლენ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონები, ინჟინრები, 24 წლის მოსკოველი ს. სავიცკაია და 33 წლის კუიბიშეველი ი. ეგოროვი. მათს გარდა, სარბიელზე გამოვლენ ტულელი ლ. ლეონოვა, კალინინელი ლ. მოროხოვა, მოსკოველი ზ. ლიზუნოვა, კემეროვოელი ვ. პონომარიოვი, ნაკრების ვეტერანი, ნოვოსიბირსკელი ა. ბიმენოვი. გუნდში სამი დებიუტანტია: 25 წლის მინსკელი ვ. გოლდობინა, მისი ტოლი, მოსკოველი ს. კრუგლიკოვი და 20 წლის ასტრახანელი ვ. ლეცკო.

ნაკრების კაპიტანმა ი. ეგოროვმა გაფრენის წინ საკდესის კორესპონდენტს უთხრა:

— რასაკვირველია, ვეცდები შარშანდელ ჩემპიონატზე უკეთ ახლა გამოვიდე. საფრანგეთში იმავე იაკოვლევის სპორტული თვითმფრინავებით ვიასპარეზებთ. მოდელი რამდენადმე გამარტივებულია და ახლა მას „იაკ-18 პს“ ჰქვია. როგორც მუდამ, ჩვენი მეტოქეები იქნებიან ამერიკის შეერთებული შტატების, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, გდრ-ის სპორტსმენები. ჭერჭერობით მე „მერიცხება“ პირველობის [illegible] პრიზი — არესტის თასი, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა მსოფლიოს საუკეთესო მფრინავს. მინდა, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპორტული თასი (თასი მართლა ძალიან მძიმეა, ვერცხლისგანაა ჩამოსხმული და დაახლოებით 100 კგ-ს იწონის) კიდევ ორი წლით დარჩეს საბჭოთა კავშირში.

**საკდესის ინფორმაცია**



# ვეტერანების მეთაურობით...

თბილისის ლენინის სახელობის სტადიონზე დილის საათებში ხშირად შეხვდებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების თანამშრომლებს, რომლებიც აქ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად მოდიან.

— „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსი ჩვენი ცხოვრების თანამგზავრია. ჩვენთვის, „მოხუცებისთვის“, ნორმატივების ჩაბარება არც ისე იოლია და სერიოზული მომზადება გვჭირდება. ამ მიზნით შევქმენით ჯგუფები, შევიმუშავეთ სპეციალური პროგრამა, რომლის კარგად დაუფლება საშუალებას მოგვცემს ამოცანას წარმატებით გავართვათ თავი, — გვითხრა ნორმატივების მიმღები კომისიის თავმჯდომარემ, სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა პ. გელაშვილმა, რომელმაც ნორმატივები სიგრძეზე ხტომასა და ხელყუმბარის ტყორცნაში ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა. მას არც პოდპოლკოვნიკები მ. გომართელი და ბ. გაბელია ჩამორჩნენ.

სამინისტროს თანამშრომლები ერთი სურვილით არიან შეპყრობილი — რაც შეიძლება კარგად ჩააბარონ ნორმატივები, გაიმარჯვონ სამინისტროს სამმართველოებსა და განყოფილებებს შორის გამოცხადებულ კონკურს-დათვალიერებაში.

სპორტის ზოგიერთ სახეობაში თითქმის უკვე ორასამდე თანამშრომელმა ჩააბარა ნორმატივები ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნებზე. ამ საქმეს კარგად უძღვება კომისია, რომლის წევრთა შორის არიან სპორტის ოსტატები ნ. მაკალათია, გ. თაბუევი, რ. პერტენავა, კ. ახარაშვილი და სხვ.

სამინისტროს ხელმძღვანელობა დიდ დახმარებას უწევს ფიზკულტურის კოლექტივს (თავმჯდომარე — პოლკოვნიკი ლ. დგებუაძე), რომლის წევრებსაც ყველა პირობა აქვთ შექმნილი, რომ უკეთესი მაჩვენებლებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს და ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

ახალი კომპლექსის სტარტზე სამინისტროს კიდევ ბევრი თანამშრომელი დადგება.

**ვ. ქობელაშვილი.**



# ციცქიშვილის წარმატება

ქუთაისში ჩატარდა „შრომითი რეზერვების“ საკავშირო პირველობა სანიჩბოსნო სლალომში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ლატვიის, საქართველოს, უკრაინის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები.

ვაჟთა შორის ერთადგილიანი ბაიდარებით ტურნირში 18 ნიჩბოსანი ჩაება. გაიმარჯვა ს. ციცქიშვილმა (საქართველო), რომელმაც დისტანცია ყველაზე სწრაფად (2.47,0) დაფარა და ყველაზე ნაკლები ჯარიმაც (10 ქულა) მიიღო. მისი საბოლოო შედეგი 167 ქულაა. ციცქიშვილს ოდნავ ჩამორჩა რიგელი ხ. კემერსი. III ადგილზეა მისი თანაგუნდელი ი. ლაიდინში.

ერთადგილიანი კანოეებით ბრძოლაში საუკეთესო აღმოჩნდა ა. კუზმინის (ლატვია) შედეგი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიდან ტ. გაბრიელიანი მეხუთე იყო, ხოლო შ. დავლიანიძე (ორივე — მცხეთა) — მეექვსე.

ქალთა შორის ბადალი არ ჰყავდა სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატს ბ. ხერცოვახეიცბერგას (ლატვია). მან დისტანციის გავლას 3 წუთი და 33 წამი მოანდომა და სულ 10 საჯარიმო ქულა მიიღო.

ორადგილიანი კანოეებით ტურნირი ლატვიელმა ძმებმა რ. და ა. კრუზნეებმა მოიგეს.

**ლ. ხეცურიანი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

* * *

სურათზე: დისტანციაზეა ს. ციცქიშვილი.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

**19 45**

◆ **ვარშავა, 19 ივლისი.** პოლონეთის დედაქალაქის სახალხო საბჭოს თავმჯდომარის თასზე აქ დაწყებულ ტრადიციულ ტურნირში კარგად აიღო სტარტი სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა, რომელმაც ანგარიშით 3:0 (15:9, 15:12, 15:10) სძლია მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს — ბულგარეთის ეროვნულ გუნდს (რამდენიმე დღის წინ ბულგარელებმა მიუნჰენში გამართულ წინაოლიმპიურ შეჯიბრებაში ყველას აჯობეს, თანაც მსოფლიო ჩემპიონი — გდრ-ის ნაკრები დაამარცხეს). პოლონეთის გუნდმა ფრანგებს აჯობა — 3:0 (15:5, 15:8, 15:4).

◆ **ტალინი, 19 ივლისი.** „კალევის“ სპორტის სახლში დღეს დაიწყო სსრ კავშირის 35-ე ჩემპიონატი ფარიკაობაში. 240 სპორტსმენის მთავარი საზრუნავი, მედლების მოხვეჭის გარდა, მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების საგზურების მოპოვებაა. ბავარიის დედაქალაქში კი თითოეული სახეობის ხუთი ოსტატი ვაჟი, აგრეთვე, ხუთი რაპირისტი ქალი გაემგზავრება. ჩემპიონატი 29 ივლისამდე გასტანს.

◆ **რეიკიავიკი, 19 ივლისი.** „ბობი ფიშერი ისე წავიდა სცენიდან, თითქოს ელექტრონის ხკამს დაალწია თავი“, — ასე დაიწყო ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მატჩის მეოთხე პარტიის ანგარიში იუპის სააგენტოს კორესპონდენტმა. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს საჭადრაკო ექსპერტმა უკვე პირველი სვლების შემდეგ აღნიშნა, რომ სპასკი კარგად მოემზადა სიცილიურ დაცვაში პრეტენდენტის საყვარელი „სოზინის ვარიანტისთვის“. ბევრი დიდოსტატი აქებს ამ პარტიაში ჩემპიონის თამაშს და განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ „მესამე პარტიის წაგების შემდეგ სპასკიმ ნამდვილი მებრძოლის თვისებები გამოავლინა“ „ძალიან სამწუხაროა, რომ დიდებული შეტევა სპასკიმ უზუსტოდ დაამთავრა“, — თქვა დიდოსტატმა ს. გლიგორიჩმა. ამერიკელმა დიდოსტატმა რ. ბირნმა დაამატა: ისეთ დებიუტში, რომელშიც ფიშერი სპეციალისტად ითვლება, სპასკი არა თუ შედრკა, არამედ ინიციატივის მოპოვებაც შეძლო. როცა დარბაზიდან ვინმე გადიოდა, კარი ხმამაღლა ჭრიალებდა. მთავარი არბიტრის განკარგულებით კარი დაუყოვნებლივ დაზეთეს. სასახლის კაფეტერიაშიც კი სიჩუმის დაცვისკენ მოწოდება მოუხდათ: ჭადრაკის მოყვარულები ისე ხმამაღლა ბჭობდნენ შექმნილ სიტუაციაზე.

# ჯილდო ერთგულებისთვის

18 ივლისი მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე დღე იყო. როგორც წესი, ლუჟნიკის დიდი სარბიელის ტრიბუნებზე საღამოობით უამრავი მაყურებელი იყრის თავს მძლეოსნური სპექტაკლის ყველაზე მიმზიდველი ნაწილის — ფინალური შეჯიბრებების სანახავად...

მაყურებელმა ამ საღამოსაც მშვენიერი სანახაობა ნახა. კიეველ ვ. ბორზოვს ოლიმპიურ სეზონში 100 მეტრზე ალბათ სულ სამჯერ ექნება აღებული სტარტი, მაგრამ ევროპის რეკორდის (10,0) გამეორება მაინც მოასწრო. კიეველმა საკავშირო ჩემპიონატის ფინალშიც ჩამოიტოვა მეტოქეები და ფინიშის ხაზი ზუსტად ათ წამში გადაკვეთა. ეს ნამდვილი ოლიმპიური სირბილი იყო. დასანანია, რომ ამ ეპითეტით შეჯიბრების სხვა მონაწილეებს ვერ შევამკობთ, თუმცა, შეიძლება გამონაკლისი იყოს 20 წლის მოსკოველი სპორტსმენი ა. კორნელიუკი (10,2).

100 მეტრზე ქალთა ფინალური გარბენი მოსკოველმა ნ. ბესფამილნაიამ მოიგო — 11,4 წამი.

საინტერესო იყო სიგრძეზე მხტომელთა შეჯიბრებაც. მძლეოსნობის მოყვარულებისთვის კარგად ნაცნობმა სპორტსმენმა, მოსკოველმა მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ტერ-ოვანესიანმა პირველივე ცდით (794 სმ), თუ შეიძლება ითქვას, გამარჯვების განაცხადი წარმოადგინა. შემდეგ მეტოქეები შეუპოვრად, მაგრამ ამაოდ ცდილობდნენ მას დასწეოდნენ. მხოლოდ ბოლო, მეექვსე ფინალური ცდით შეძლო სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, 32 წლის კიეველმა ლ. ბარკოვსკიმ 806 სმ-ზე გადახტომა. ერთი სიტყვით, ამ სახეობაში შეჯიბრება ვეტერანთა ტრიუმფით დამთავრდა, თუმცა საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე 20 წლის დონეცკელი ვ. პოდლუჟნიც ავიდა — 787 სმ.

10000 მეტრზე რბენაში ოქროს მედალი დაისაკუთრა ლენინგრადელმა რ. შარაფეტდინოვმა, რომლის შედეგი (28.05,2) საუკეთესოა წლევანდელ საბჭოთა კავშირში.

ნახევარფინალში 100 მეტრზე თარჯრბენში სსრ კავშირის რეკორდი (13,3) გაიმეორა ლენინგრადელმა ტ. ანისიმოვამ. ახლა საკმაოდ დაბალ საკავშირო მიღწევას სამი პატრონი ჰყავს. სხვათა შორის, საზღვარგარეთ უკვე ათობით სპორტსმენი ქალი ამ მანძილის გარბენას 13 წამზე ნაკლებს ანდომებს.

დილით მძლეოსნობის ყველაზე თავგამოდებულმა მოყვარულებმა გულუხვი ჯილდო მიიღეს მზით გახურებულ ტრიბუნებზე ჯდომისთვის: 1500 მეტრზე წინასწარ გარბენში კრასნოდარელმა ლ. ბრაგინამ მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 4.06,9. მან ერთბაშად 2,7 წამით გააუმჯობესა ძველი მიღწევა, რომელიც კ. ბურნელაიტს (გდრ) ეკუთვნოდა. ახალ რეკორდსმენს სერიოზული კონკურენცია თითქმის ვერავინ გაუწია.

ლენინგრადელი ი. ტარმაკი საკვალიფიკაციო შეჯიბრების დროს 225 სმ-ზე გადახტა. ეს სიმაღლე სსრ კავშირში ვ. ბრუმელს გარდა არავის ჰქონდა დაძლეული. ასეთი შედეგი წლევანდელ სეზონში არც მსოფლიოს სტადიონებზე მოუპოვებია ვინმეს.

**გ. ზუხოვიცკი.**
(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**


თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონი

(ხანაპიროს № 8)

**ჩოგბურთი**

21-23 ივლისი

დევისის თასის ფინალური მატჩი

(ევროპის „ა“ ზონა)

სსრ კავშირი — რუმინეთი

დასაწყისი: 21 და 23 ივლისს — 14 ს., 22 ივლისს — 15 ს.

ადგილები დანომრილია.


# შეურიგებელი ბრძოლა რასიზმთან

ჰელსინკი, 19 ივლისი. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ დაგმო ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტსმენებს დევისის თასის გათამაშების გზა გაეხსნათ.

აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში მშვიდობის მსოფლიო საბჭომ აღნიშნა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტში გამეფებულ აპარტეიდის პოლიტიკას გმობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდება კრძალავს რასობრივ დისკრიმინაციას სპორტში. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია, როგორც ხაზგასმითაა აღნიშნული განცხადებაში, განსაკუთრებულ გაკიცხვას იმსახურებს იმიტომ, რომ 1972 წელი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, რასიზმთან ენერგიული ბრძოლის წელია.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ დემოკრატიულ და მშვიდობის მოყვარე ძალებს მოუწოდა ჯადაჭრით იბრძოლონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყველა კულტურული და სპორტული ორგანიზაციიდან გარიცხვისთვის.

(საკდესი).

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 10153